

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„---21---“-----11-----“ 2016 წელი

ეგზ. № 1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
2014-2015 წლების ფინანსური ანგარიშგების  
ფინანსური აუდიტის ანგარიში N70/36

2016 წელი

## სარჩევი

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                                 | 3  |
| აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე..... | 3  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა.....                                               | 3  |
| 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი .....         | 4  |
| მასშტაბის შეზღუდვა.....                                                      | 4  |
| არაწარმოებული აქტივები.....                                                  | 4  |
| ორგანიზაციის ხარჯები .....                                                   | 5  |
| არაფინანსური აქტივებისა და მატერიალური მარაგების აღრიცხვა.....               | 5  |
| სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა .....                                 | 6  |
| ბალანსი და დანართი ფორმები.....                                              | 6  |
| პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....                       | 6  |
| 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი .....         | 7  |
| მასშტაბის შეზღუდვა.....                                                      | 7  |
| დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....                                         | 7  |
| არაწარმოებული აქტივები.....                                                  | 8  |
| ინვენტარიზაცია .....                                                         | 8  |
| არაფინანსური აქტივებისა და მატერიალური მარაგების აღრიცხვა.....               | 11 |
| სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა .....                                 | 11 |
| ბალანსი და დანართი ფორმები.....                                              | 11 |
| პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....                       | 12 |
| ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება.....   | 13 |
| ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება.....   | 29 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი .....                                    | 45 |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები .....                                    | 45 |

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014-2015 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს:

- ✓ ბალანსს;
- ✓ ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით;
- ✓ ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ;
- ✓ ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ;
- ✓ ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ;
- ✓ ანგარიშს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ;
- ✓ ანგარიშს ფულადი გრანტების შესახებ;
- ✓ ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ;
- ✓ ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ;
- ✓ ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.

## აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების

მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

## **2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი**

### **მასშტაბის შეზღუდვა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს, დებულების მიხედვით, ევალება მერიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება<sup>1</sup>. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და ობიექტურად უნდა ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდში თბილისის მერის, თბილისის მთავრობის, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციებს და საქმიანობის შედეგებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2014 წელს ქ. თბილისის მერიის გადასახდელებმა შეადგენა 616 015.5 ათასი ლარი<sup>2</sup>. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ 497 775.1 ათასი ლარის გადასახდელებს. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საფინანსო სამსახური სრულად არ ადგენს მერიის ფინანსურ ანგარიშგებას, კერძოდ მასში არ აღრიცხავს თბილისის რაიონის გამგეობებში განხორციელებულ ფინანსური ოპერაციებს. იმის გამო, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი რაიონის გამგეობების მიერ გაწეული 118 240.4 ათასი ლარის ხარჯები, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო აღნიშნული ოპერაციების შემოწმება და შესაბამისი მოსაზრების გამოთქმა.

გარდა აღნიშნულისა, აუდიტის ჯგუფი ეყრდნობა 2014 წლის ბალანსში წარმოდგენილ საწყის ნაშთებს და არ გამოთქვამს მოსაზრებას მის სისწორეზე.

### **არაწარმოებული აქტივები**

**გარემოება.** საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით<sup>3</sup> არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით აღრიცხული უნდა იყოს ყველა ის ოპერაცია, რომელიც გავლენას ახდენს და იწვევს მისი ღირებულებისა და მოცულობის (რაოდენობის) ცვლილებას.

<sup>1</sup> ქალაქ თბილისის მერიის 2008 წლის 30 დეკემბრის №61 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულება“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-65 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულება“.

<sup>2</sup> გარდა საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ზე გაწეული დანახარჯებისა.

<sup>3</sup> „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 17.

2014 წელს მერიის მიერ პრივატიზებულია 3 მიწის ნაკვეთი, საერთო საბალანსო ღირებულებით - 2 463.3 ათასი ლარი. ფინანსური ანგარიშგების „არაწარმოებული აქტივების“ მუხლში აღნიშნული ოპერაცია ასახული არ არის.

გარდა აღნიშნულისა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ მიერ მოწოდებული მონაცემებით, 2014 წელს პრივატიზებულია 166 779 მ<sup>2</sup> ფართობის 126 მიწის ნაკვეთი და 985 მ<sup>2</sup> ფართობის 3 შენობა-ნაგებობება. აღნიშნული ქონება არაა აღრიცხული და შესაბამისად არც ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ქონების ჩამოწერა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება შესაბამისი სამსახურიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, 2014 წელს ქონების პრივატიზების შესახებ დოკუმენტები მათთვის არ არის წარდგენილი.

**გავლენა.** გამოვლენილი გარემოებით 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“, ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) არასწორადაა ასახული არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა და საბოლოო ნაშთის მონაცემები.

## ორგანიზაციის ხარჯები

**გარემოება.** 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3), „სხვა ხარჯების“ მუხლი მოიცავს 1 220.1 ათასი ლარის შენატანებს ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოში“ და ხელოვნების სკოლების პედაგოგების პრემიებს 323.2 ათას ლარს. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული თანხები ნაცვლად „სხვა ხარჯისა“ უნდა ასახულიყო „სუბსიდიების“ მუხლში.

**გავლენა.** გამოვლენილი გარემოებით, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“) „სხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 1 543.3 ათასი ლარით და ამავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიის“ მუხლი.

## არაფინანსური აქტივებისა და მატერიალური მარაგების აღრიცხვა

2014 წელს თბილისის მერიის მიერ არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“<sup>4</sup> ინსტრუქციის მოთხოვნები. კერძოდ:

ძირითად აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებსა და ფასეულობებს, მიღებისას არ აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომრები, რომლებიც რჩებათ მოცემულ აქტივებს ორგანიზაციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საინვენტარო ნომრის მიხედვით არ არის გახსნილი საინვენტარო ბარათი, სადაც მიეთითება ბარათით განსაზღვრული რეკვიზიტები, ობიექტის (საგნის) მოკლე ინდივიდუალური დახასიათება. ორგანიზაციის შიგნით აქტივების გადაადგილებისას არ არის გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერი.

<sup>4</sup> 2015 წლის 1 იანვრამდე „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

მატერიალური მარაგების ანალიზური აღრიცხვა არ არის ნაწარმოები ბარათებზე, მატერიალური მარაგების თითოეული ჯგუფის (კატეგორიის) მიხედვით, დასახელების, ხარისხის, რაოდენობის, ფასის, მიღების თარიღისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მითითებით. აღნიშნულის გამო არ არის უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირება ბუღალტრულ აღრიცხვის მონაცემებთან.

## **სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა**

### **ბალანსი და დანართი ფორმები**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად<sup>5</sup> ვალდებულია, ყოველწლიურად შეავსოს ორგანიზაციის ბალანსი თანდართული ფორმებით. აუდიტის პროცესში გამოვლინდა, რომ მერიის საფინანსო სამსახურის მიერ არ არის შევსებული 2014 წლის ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №6 „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“.

### **პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს მერიის ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის მონაცემების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

---

<sup>5</sup> „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

## 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

### მასშტაბის შეზღუდვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს, დებულების მიხედვით, ევალება მერიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება<sup>6</sup>. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და ობიექტურად უნდა ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდში თბილისის მერის, თბილისის მთავრობის, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციებს და საქმიანობის შედეგებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს ქ. თბილისის მერიის გადასახდელებმა შეადგენა 652 937.0 ათასი ლარი<sup>7</sup>. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სრულად არ ასახავს მერიის საქმიანობის შედეგებს და მოიცავს მხოლოდ 490 525.6 ათასი ლარის გადასახდელებს. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ფინანსური ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი თბილისის რაიონის გამგეობებში განხორციელებული 162 411.4 ათასი ლარის ფინანსური ოპერაციები, რის გამოც აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო აღნიშნული ოპერაციების შემოწმება და შესაბამისი მოსაზრების გამოთქმა.

### დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

**გარემოება.** „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ ანგარიშზე აღირიცხება ის აქტივები, რომელთა მშენებლობა ან სხვა ფორმით შექმნა დაწყებულია და ჯერ არ დასრულებულა. 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი შეადგენს 14 233.6 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლში, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული ობიექტები მოიცავს 69 პროექტს, ღირებულებით - 8 060.2 ათასი ლარი, რომლებსაც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ახორციელებს. მოწოდებული მონაცემებისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად, გამოვლინდა, რომ აღნიშნული ობიექტებიდან 41 პროექტი, საერთო ღირებულებით - 4 591.1 ათასი ლარი, დასრულებულია.

გარდა აღნიშნულისა, დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლში, ასევე აღრიცხულია 2015 წელს ექსპლოატაციაში შესული 4 ერთეული სოციალურად დაუცველი პირებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლები, საერთო ღირებულებით - 553.8 ათასი ლარი. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, რომ აღნიშნულ ანგარიშზე, ასევე ირიცხებოდეს სხვა დასრულებული და ექსპლოატაციაში მყოფი ობიექტები.

**გავლენა.** გამოვლენილი გარემოებით, ფორმა №1-ში „ორგანიზაციის ბალანსი“ და ფორმა №5-ში „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, საბოლოო ნაშთები წარმოდგენილია არასწორი ღირებულებით.

<sup>6</sup> ქალაქ თბილისის მერიის 2008 წლის 30 დეკემბრის №61 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულება“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-65 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულება“.

<sup>7</sup> გარდა საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-სა და ა(ა)იპ-ზე გაწეული დანახარჯებისა.

## არაწარმოებული აქტივები

**გარემოება.** საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით<sup>8</sup> არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით აღრიცხული უნდა იყოს ყველა ის ოპერაცია, რომელიც გავლენას ახდენს და იწვევს მისი ღირებულებისა და მოცულობის (რაოდენობის) ცვლილებას.

2015 წელს მერიის მიერ პრივატიზებულია 3 მიწის ნაკვეთი, საერთო საბალანსო ღირებულებით - 127.2 ათასი ლარი. ფინანსური ანგარიშგების „არაწარმოებული აქტივების“ მუხლში აღნიშნული ოპერაცია ასახული არ არის.

გარდა აღნიშნულისა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ მიერ მოწოდებული მონაცემებით, 2015 წელს პრივატიზებულია 374128 მ<sup>2</sup> ფართობის 532 მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ქონება მერიის მიერ შემოსავალბსა და გასავლებში არაა აღრიცხული და შესაბამისად არც ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ქონების ჩამოწერა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება შესაბამისი სამსახურიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, 2015 წელს ქონების პრივატიზების შესახებ დოკუმენტები მათთვის არ არის წარდგენილი.

**გავლენა.** გამოვლენილი გარემოებით 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“, ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) არასწორადაა ასახული არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა და საბოლოო ნაშთის მონაცემები.

## ინვენტარიზაცია

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა აღწერა სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს;
- ✓ ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;

<sup>8</sup> „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 17.

- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

თბილისის მერიის 2015 წლის 8 ოქტომბრის №4025 ბრძანებით, შეიქმნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საინვენტარიზაციო კომისია და სამუშაო ჯგუფები“. კომისიას დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობებში (საქალაქო სამსახურებში) და 5 სასაწყობე ბაზაში არსებული მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც უნდა დასრულებულიყო წლის ბოლომდე. 2015 წლის 30 დეკემბერს კომისიის შემადგენლობაში შევიდა ცვლილებები და სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 10 თებერვალი.

ინვენტარიზაციის შედეგები დამტკიცდა მერის 2016 წლის 14 მარტის №1-444 ბრძანებით. გამოვლინდა 1467 ნივთის დანაკლისი, თანხით 3 241.9 ათასი ლარი<sup>9</sup>, ხოლო ზედმეტობამ შეადგინა 1011 ნივთი, რომლის ღირებულება განსაზღვრული არ არის (არაა შეფასებული). განისაზღვრა ამორტიზირებული და გამოუყენებელი საოფისე ავეჯი და ტექნიკა, საახალწლო ილუმინაციები და აქსესუარები, სულ თანხით 3503.7 ათასი ლარი. გამოვლენილი ქონების დანაკლისებზე მერიამ არ განახორციელა სამართლებრივი შეფასება და არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

მერიაში ინვენტარიზაციები არაა ჩატარებული კანონმდებლობის დაცვით<sup>10</sup>: ქონების აღწერამ არ მოიცვა მერიის ბალანსზე რიცხული ყველა მატერიალური ფასეულობა, კერძოდ საფინანსო სამსახურის მიერ კომისიისათვის მიწოდებული მერიის ბალანსზე რიცხული 49 847.6 ათასი ლარის მოძრავი ქონებიდან, საინვენტარიზაციო კომისიამ აღწერა მხოლოდ 40 428.2 ათასი ლარის ქონება. ინვენტარიზაცია არ ჩატარებია ისეთ მოძრავ ქონებას, რომელიც არ მდებარეობდა მერიის შენობებში (საქალაქო სამსახურებში) და 5 სასაწყობე ბაზაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მერიის მიერ ვერ იქნა მოწოდებული ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ბოლო ინვენტარიზაციის მასალები და არც მისი ჩატარების შესახებ ფლობენ რაიმე ინფორმაციას.

2016 წლამდე ქალაქ თბილისის მერიაში რიცხული ძირითადი აქტივები, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და ფასეულობები არ იყო ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. მერიაში არ ირიცხებოდა არცერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და შესაბამისად არ იყო გაფორმებული მათთან ხელშეკრულებები, სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მერიას ერიცხებოდა ძირითადი აქტივები და სხვა მატერიალური ფასეულობები, საერთო ღირებულებით - 560 989.5 ათასი ლარი. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გაირკვა, რომ 2014-2015 წლების პერიოდში მერიას ერიცხებოდა ისეთი ქონება, რომლის გარკვეული ნაწილის წარმოშობისა და ფაქტობრივი არსებობის შესახებ მერიის სამსახურები არ ფლობდნენ ინფორმაციას. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს

<sup>9</sup> იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის ინვენტარიზაციის შედეგები არ იქნა ასახული საბუღალტრო აღივსვაში, 2015 წელს გამოვლენილ დანაკლისებში შესაძლებელია შედიოდეს 2014 წელს დაფიქსირებული დანაკლისები.

<sup>10</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი იმის, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მერიის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

ჩატარებული პროცედურებით აუდიტის ჯგუფმა მიიღო საკმარისი მტკიცება, იმის შესახებ, რომ ინვენტარიზაციამ არ მოიცვა საბუღალტრო ანგარიშებში, მერიის სამსახურებზე (მათ შორის გაუქმებულზე), რიცხული ნაშთები, რომელთა წარმოშობა და რეალობა ვერ დგინდება:

- ✓ მერიის ადმინისტრაციისა და კეთილმოწყობის სამსახურებს „ნედლეული და მასალების“ ანგარიშზე ერიცხება 544.7 ათასი ლარის ღირებულების: ელექტრო სანათები 2030 ცალი და საბავშვო საქანელები 224 ცალი. ქონების ფიზიკური არსებობა აღნიშნულმა სამსახურებმა ვერ დაადასტურეს, ხოლო მერიის საფინანსო სამსახურმა ვერ მოგვაწოდა ინფორმაცია ამ აქტივების წარმოშობის თარიღის შესახებ.
- ✓ „ფულადი დოკუმენტების“ მუხლი მოიცავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე რიცხულ „საწვავს“, ღირებულებით - 69.0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული აქტივი აღირიცხება პროგრამა „ინფო ბუღალტერიაში“ 2010 წლიდან.
- ✓ მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე ერიცხება 531.8 ათას ლარის ღირებულების: ინგლისური ენისა და კომპიუტერის სახელმძღვანელოები, ფლემმენსიერებები, მაისურები და სხვა საქონელი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მარაგის ნაწილი გაიხარჯა სხვადასხვა ღონისძიებების გამართვისას, თუმცა ზუსტი ოდენობა ვერ იქნა დადგენილი.
- ✓ მერიის საქალაქო დასუფთავების სამსახურს, რომელიც 2011 წლიდან, მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად მიუერთდა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს, ბუღალტრული დოკუმენტების მიხედვით, „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე ერიცხება 2009-2010 წლებში შეძენილი 2597 ტონა ტექნიკური მარილი, ღირებულებით 634.4 ათასი ლარი. ტექნიკური მარილის ფიზიკური არსებობა მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ვერ იქნა დადასტურებული.
- ✓ „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლის ნაშთები მოიცავს ლიკვიდირებული ან რეორგანიზაციის შედეგად შეცვლილ სამსახურებზე რიცხულ ქონებას, საერთო ღირებულებით - 392.9 ათასი ლარი (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, კანონიერების დაცვისა და გენერალური ინსპექციის სამსახური, დასუფთავების სამსახური, ქონების მართვის სამსახური, ურბანული დაგეგმარების სამსახური). წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მერიის საფინანსო სამსახური არ ფლობს ინფორმაციას „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლში აღრიცხული აქტივების წარმოშობის თარიღისა და ფიზიკური არსებობის შესახებ.
- ✓ ანგარიშგების „სხვა ნაგებობების“ მუხლში აღრიცხულია აქტივი სახელწოდებით „დაუმთავრებელი ობიექტები“, ღირებულებით - 1384.9 ათასი ლარი. მერიის საფინანსო სამსახურმა ვერ დაასაბუთა აღნიშნული ობიექტების ფაქტობრივი არსებობა და წარმოშობის თარიღი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფინანსო სამსახურმა 2009 წლის პირველი იანვრიდან მუშაობა დაიწყო საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერიაში“, ხოლო „სხვა ნაგებობების“ ანგარიშზე აღრიცხული „დაუმთავრებელი ობიექტები“ წარმოადგენს პროგრამის საწყის ნაშთს.

- ✓ წარმოდგენილი დოკუმენტებით „არამატერიალური აქტივების“ მუხლი მოიცავს 580.8 ათასი ლარის<sup>11</sup> გაურკვეველ აქტივს. საფინანსო სამსახურისათვის უცნობია როდის არის შეძენილი და რომელ სამსახურს ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.
- ✓ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხულია 225 ობიექტი, ღირებულებით 5647.8 ათასი ლარი, წარმოდგენილი მონაცემებით და პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფინანსო სამსახურისათვის უცნობია „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხული ობიექტების მშენებლობის დაწყების თარიღი და მათი ფაქტობრივი მდგომარეობა.
- ✓ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ირკვევა, რომ ანგარიშგებაში „არაწარმოებული აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხულია 2012-2013 წლებში პრივატიზებული 14 მიწის ნაკვეთი, საერთო ღირებულებით - 2 900.6 ათასი ლარი.

### არაფინანსური აქტივებისა და მატერიალური მარაგების აღრიცხვა

2015 წელს ქ. თბილისის მერიის მიერ არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“<sup>12</sup> ინსტრუქციის მოთხოვნები. კერძოდ:

ძირითად აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებსა და ფასეულობებს, მიღებისას არ აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომრები, რომლებიც რჩებათ მოცემულ აქტივებს ორგანიზაციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. საინვენტარო ნომრის მიხედვით არ არის გახსნილი საინვენტარო ბარათი, სადაც მიეთითება ბარათით განსაზღვრული რეკვიზიტები და ობიექტის (საგნის) მოკლე ინდივიდუალური დახასიათება. ორგანიზაციის შიგნით აქტივების გადაადგილებისას არ არის გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერი.

მატერიალური მარაგების ანალიზური აღრიცხვა არ არის ნაწარმოები ბარათებზე, მატერიალური მარაგების თითოეული ჯგუფის (კატეგორიის) მიხედვით, დასახელების, ხარისხის, რაოდენობის, ფასის, მიღების თარიღისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მითითებით. აღნიშნულის გამო არ არის უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირება ბუღალტრულ აღრიცხვის მონაცემებთან.

### სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმას

#### ბალანსი და დანართი ფორმები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად<sup>13</sup> ვალდებულია, ყოველწლიურად შეავსოს ორგანიზაციის ბალანსი თანდართული ფორმებით. აუდიტის პროცესში გამოვლინდა, რომ მერიის საფინანსო სამსახურის მიერ არ არის შევსებული 2015 წლის ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №6 „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“.

<sup>11</sup> სახელწოდებით „არამატერიალური აქტივები“.

<sup>12</sup> 2015 წლის 1 იანვრამდე „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

<sup>13</sup> „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

### **პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს მერიის ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის მონაცემების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქ. თბილისის მერია

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ქ. თბილისის მერია

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ზომის ერთეული: ლარი



| კოდი                                       | აქტივები                                                                                    | ანგარიშის<br>ნომერი | ნაშთი წლის<br>დასაწყისისთვის | ნაშთი წლის (კვარტლის)<br>ბოლოს |
|--------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|------------------------------|--------------------------------|
| 1                                          | 2                                                                                           | 3                   | 4.00                         | 5.00                           |
| <b>I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</b> |                                                                                             |                     |                              |                                |
| 010                                        | ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში                                                      | 1110                |                              |                                |
| 020                                        | ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში                                                       | 1120                |                              |                                |
| 030                                        | მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში                                                  | 1210                |                              |                                |
| 040                                        | მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში                                                   | 1220                |                              |                                |
| 050                                        | სადეპოზიტო ანგარიში ბანკში                                                                  | 1230                | 2 203 740,46                 | 4 880 969,75                   |
| 060                                        | სხვა ანგარიშები ბანკში                                                                      | 1240                |                              |                                |
| 070                                        | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკუთარ ხარჯებისათვის                             | 1250                |                              |                                |
| 080                                        | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში                                                        | 1260                |                              |                                |
| 090                                        | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში                                                         | 1270                |                              |                                |
| 100                                        | ხაზინის სავალუტო ანგარიში                                                                   | 1280                |                              |                                |
| 110                                        | სხვა ანგარიშები ხაზინაში                                                                    | 1290                | 820,81                       |                                |
| 120                                        | ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა                                                          | 1310                |                              |                                |
| 130                                        | მოკლევადიანი სესხები                                                                        | 1320                |                              |                                |
| 140                                        | აქციები და სხვა კაპიტალი                                                                    | 1330                |                              |                                |
| 150                                        | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები                                                          | 1340                |                              |                                |
| 160                                        | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                     | 1351                |                              |                                |
| 170                                        | არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                  | 1352                |                              |                                |
| 180                                        | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები                                 | 1353                |                              |                                |
| 190                                        | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით | 1354                |                              |                                |
| 200                                        | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მოქმადებლობის მქონდებით          | 1355                |                              |                                |
| 210                                        | გადახდილი დღგ                                                                               | 1356                | 19 314,54                    | 43 882,25                      |
| 220                                        | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი                                                       | 1357                |                              |                                |
| 230                                        | სხვა საგადასახადო აქტივი                                                                    | 1358                | 387,71                       | 102,92                         |
| 240                                        | მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების                                          | 1359                |                              |                                |
| 250                                        | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                                              | 1360                |                              |                                |
| 260                                        | მოთხოვნები მარტებით                                                                         | 1410                |                              |                                |
| 270                                        | მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ                                                    | 1420                |                              |                                |
| 280                                        | მოთხოვნები წინასწარი გადახდებით                                                             | 1430                | 19 896 774,84                | 31 307 703,65                  |
| 290                                        | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით                                              | 1440                | 12 863,00                    | 28 997,51                      |
| 300                                        | ანგარიშგაღებული პირების მიმართ მოთხოვნები                                                   | 1450                |                              |                                |
| 310                                        | მოქმედების მიმართ მოთხოვნები                                                                | 1460                | 40,00                        | 680,39                         |
| 320                                        | მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით                                                | 1470                | 100,00                       |                                |
| 330                                        | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები                                                      | 1480                | 445 495,19                   | 464 570,98                     |
| 340                                        | გრძელვადიანი სესხები                                                                        | 1510                | 1 710 697,56                 | 1 510 655,89                   |
| 350                                        | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები                                                        | 1520                |                              |                                |
| 360                                        | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები                                                                | 1530                |                              |                                |
|                                            | აქციები და კაპიტალი                                                                         | 1540                | 594 546 102,15               | 591 599 032,69                 |
| <b>II. არაფინანსური აქტივები</b>           |                                                                                             |                     |                              |                                |
| 370                                        | სტრატეგიული მარაგები                                                                        | 1610                |                              |                                |
| 380                                        | სხვა მატერიალური მარაგები                                                                   | 1620                | 3 241 491,64                 | 3 255 687,10                   |
| 390                                        | შენიშნა-მაგვრობები                                                                          | 2110                | 367 195 319,17               | 368 074 779,38                 |
| 400                                        | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                                                            | 2120                | 33 333 255,19                | 27 826 100,13                  |
| 410                                        | სხვა ძირითადი აქტივები                                                                      | 2130                | 2 323 216,10                 | 2 655 626,57                   |
| 420                                        | დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი                                                               | 2140                | 6 258 281,88                 | 7 000 961,97                   |
| 430                                        | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები                                                          | 2200                | 1 699 975,07                 | 1 732 543,94                   |
| 440                                        | ფასივალდებულებები                                                                           | 2300                |                              |                                |
| 450                                        | არაწარმოებული აქტივები                                                                      | 2400                | 61 434 874,00                | 63 639 428,39                  |
|                                            | <b>ბალანსი</b>                                                                              |                     | <b>1 094 322 749,31</b>      | <b>1 104 031 723,51</b>        |

| კოდი                          | ვალდებულებები და კაპიტალი                                                                | ანგარიში<br>ნაშრო | ნაშრო წლის<br>დასაწყისისათვის | ნაშრო წლის (გარდა)<br>ბოლოსათვის |
|-------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------------------|----------------------------------|
| 1                             | 2                                                                                        | 3                 | 4,00                          | 5,00                             |
| <b>I. ვალდებულებები</b>       |                                                                                          |                   |                               |                                  |
| 460                           | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები                                                     | 3100              |                               |                                  |
| 470                           | მოშასხურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                           | 3210              | 2 277,53                      | 4 711 732,25                     |
| 480                           | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                              | 3220              | 110 842,52                    | 2 196 457,08                     |
| 490                           | ვალდებულებები ბარტერით                                                                   | 3230              |                               |                                  |
| 500                           | გადასახდელი მოგების გადასახადი                                                           | 3241              | 99,99                         | 99,99                            |
| 510                           | გადასახდელი დღგ                                                                          | 3242              |                               |                                  |
| 520                           | გადასახდელი სამშენსაველო გადასახადი                                                      | 3243              |                               |                                  |
| 530                           | სხვა გადასახდელები                                                                       | 3244              |                               | 478 810,33                       |
| 540                           | ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით                             | 3245              |                               |                                  |
| 550                           | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები                                                  | 3246              | 820,81                        |                                  |
| 560                           | სტატუტით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                              | 3251              |                               |                                  |
| 570                           | სტატუტზე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                              | 3252              |                               |                                  |
| 580                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით                                                  | 3253              |                               |                                  |
| 590                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ                                                   | 3254              |                               |                                  |
| 600                           | დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები    | 3255              |                               |                                  |
| 610                           | დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3256              |                               |                                  |
| 620                           | ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან                                     | 3257              |                               |                                  |
| 630                           | გადასახდელი სტიპენდიები                                                                  | 3258              |                               |                                  |
| 640                           | სოციალური დახმარების ანაზღაურებები                                                       | 3259              |                               |                                  |
| 650                           | ვალდებულებები დეპონენტების მიმართ                                                        | 3260              |                               |                                  |
| 660                           | სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები                                             | 3270              |                               | 249 895,33                       |
| 670                           | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები                                              | 3280              | 97 939,55                     | 610 525,00                       |
| 680                           | გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული                                      | 3300              | 15 614 647,23                 | 6 092 589,18                     |
|                               | ჯამი                                                                                     |                   | 15 826 627,63                 | 14 340 109,16                    |
| <b>II. კაპიტალი</b>           |                                                                                          |                   |                               |                                  |
| 690                           | წმინდა ღირებულება                                                                        | 5100              | 1 078 496 121,68              | 1 089 691 614,35                 |
| 700                           | სამშენსაველო პერიოდის მოგება/ზარალი                                                      | 5210              |                               |                                  |
